კოლექტიური მეხსიერება და კულტურული იდენტობის ფორმირება ქართულ საბავშვო ლიტერატურაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

ნინო ბუკია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბუკია

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის ფორმირების მექანიზმებს ქართულ საბავშვო ლიტერატურაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. კვლევის მიხედვით, ამ პერიოდის საბავშვო ტექსტი არ ფუნქციონირებს როგორც მხოლოდ აღმზრდელობითი ან ესთეტიკური პრაქტიკა, არამედ წარმოადგენს კულტურული მეხსიერების გადაცემის სტრუქტურირებულ სივრცეს, სადაც იდეოლოგიური მნიშვნელობები ნარატიული და ჟანრული მექანიზმების მეშვეობით ნორმალიზდება.

კვლევის ძირითადი არგუმენტია, რომ განხილულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ნაციონალიზმი წარმოადგენს დომინანტურ იდეოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც საბავშვო ლიტერატურაში კვლავწარმოებულია განსხვავებული ფორმებით, მაგრამ ინარჩუნებს სტრუქტურულ უწყვეტობას. ნაშრომი აჩვენებს, რომ ამ უწყვეტობის მთავარი მექანიზმია საბავშვო ტექსტის ორშრიანი დისკურსი, რომლის საშუალებითაც ერთდროულად ხდება ბავშვის სოციალიზაცია და კულტურული მნიშვნელობების სტაბილიზაცია.ანალიზი ფოკუსირდება ჟანრული სტრუქტურის, თხრობის პერსპექტივისა და კულტურული კოდების ორგანიზებაზე და აჩვენებს, რომ ჟანრი საბავშვო ლიტერატურაში ფუნქციონირებს როგორც მეხსიერების გადაცემის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს მნიშვნელობების შენახვისა და ცენტრალიზაციის წესებს. ცალკე ყურადღება ეთმობა ქალაქის ქრონოტოპს, როგორც იმ სივრცეს, სადაც ნაციონალური ნარატივი იძენს სოციალურ ფორმას და გადამოწმდება კოლექტიურ ხატთან მიკუთვნებულობის ნორმები.

კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას და აერთიანებს საბავშვო ლიტერატურის თეორიებს, კრიტიკულ დისკურსის ანალიზსა და მეხსიერების კვლევების მიდგომებს. ნაშრომის შედეგები აჩვენებს, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა განხილულ ეპოქაში წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერების ორგანიზებულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც ეროვნული იდენტობა ნარატიულად, თაობიდან თაობამდე კვლავწარმოიქმნება.

საკვანძო სიტყვები: საბავშვო ლიტერატურა, კოლექტიური მეხსიერება, კულტურული იდენტობა, იდეოლოგიური დისკურსი, ნაციონალური ნარატივი, ქართული ლიტერატურა (XIX–XX სს.)

Abstract

This study examines the mechanisms through which collective memory and cultural identity are formed in Georgian children's literature at the turn of the nineteenth and twentieth centuries. It argues that children's texts of this period do not function merely as pedagogical or aesthetic practices but constitute a structured space for the transmission of cultural memory, in which ideological meanings are normalized through narrative and generic mechanisms.

The central argument of the study is that nationalism operates as the dominant ideological framework within the examined chronological scope. Although reproduced in different forms in children's literature, it retains structural continuity. The article demonstrates that the key mechanism sustaining this continuity is the dual-layered discourse of children's texts, through which the socialization of the child and the stabilization of cultural meanings occur simultaneously. The analysis focuses on the organization of genre, narrative perspective, and cultural codes, showing that genre in children's literature functions as a form of memory transmission that determines the modes of preservation and centralization of meaning. Particular attention is paid to the chronotope of the city as the space in which the national narrative acquires social form and the norms of belonging to a collective image are tested and reinforced.

The study is based on an interdisciplinary methodology that integrates theories of children's literature, critical discourse analysis, and approaches from memory studies. The findings demonstrate that Georgian children's literature of the period under consideration constitutes an organized system of collective memory through which national identity is narratively reproduced from one generation to the next.

Key Words: children's literature; collective memory; cultural identity; ideological discourse; national narrative; Georgian literature (19th–20th centuries)